

სსიპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბრძანება

11. 02. 2011 № 12

თბილისი

2010/2011 სასწავლო წლის
მეორე სემესტრის სასწავლო
განრიგის შესახებ


საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების
“უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ”
(2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებით გათვალისწინებული ცვლილებებით) და საქართველოს
ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის საფუძველზე 2010/2011
სასწავლო წლის მეორე სემესტრის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :


1. 2010/2011 სასწავლო წლის მეორე სემესტრი სწავლების ყველა წლის და საფეხურის (პროფესიული განათლება, ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) სტუდენტებისათვის დაიწყოს 2011 წლის 21 თებერვალს და დასრულდეს 2011 წლის 5 ივლისს (იხ. დანართი 1);
2. სწავლების ყველა წლის და საფეხურის სტუდენტებისათვის დასკვნითი გამოცდები ჩატარდეს 2011 წლის 20 ივნისიდან 5 ივლისის ჩათვლით, ხოლო დამატებითი გამოცდები - 6 ივლისიდან 16 ივლისის ჩათვლით (იხ. დანართი 1);
3. ზაფხულის არდადეგები დაიწყოს 2011 წლის 6 ივლისს;
4. პრაქტიკა, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩატარდეს სასწავლო კურსის სილაბუსის შესაბამისად;
5. სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორი ვალდებულია პროფესიული განათლების, ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტთა ყოველკვირეული შეფასების, შუალედური ტესტირების, დასკვნითი და დამატებითი გამოცდების (იხ. დანართი 2) შედეგები ყოველი მომდევნო კვირის განმავლობაში შეიტანოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებულ სტუდენტთა შეფასების ელექტრონულ უწყისში (იხ. დანართი 3, 4);
6. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი/სასწავლო სპეც.კურსის წამყვანი პროფესორი ვალდებულია სტუდენტთა შუალედური ტესტირების, დასკვნითი და დამატებითი გამოცდების (იხ. დანართი 2) შედეგები ყოველი ტესტირების ჩატარების მომდევნო კვირის განმავლობაში შეიტანოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებულ სტუდენტთა შეფასების ელექტრონულ უწყისში (იხ. დანართი 5);
7. სემესტრის ბოლოს წამყვანი პროფესორი აკადემიურ დეპარტამენტში ამონაბეჭდზე ხელმოწერით დაამოწმებს ელექტრონული უწყისის მონაცემებს დეკანატში გადაცემამდე.
8. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სწავლების დეპარტამენტს (ი. ლომიძე);
9. ბრძანება გამოიკრას თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

რექტორი  ფრანგიშვილი

ვიზები:

რექტორის მოადგილე
სასწავლო დარგში  კლიმიაშვილი

სწავლების დეპარტამენტის
უფროსი  ა ლომიძე

იურიდიული დეპარტამენტის
უფროსი  ბ. მაისურაძე



სტუდენტთა მიღწევების შეფასება

1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესიული განათლების, ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის შუალედური შეფასებები მოიცავს ორ შუალედურ ტესტირებას და 15 ყოველკვირიულ შეფასებას:

- ყოველკვირიული ჯამური (სემესტრული) მაქსიმალური შეფასება არის 30 ქულა (2 ქულა* X15 კვირა);
- I ტესტირება – მაქსიმალური შეფასება 20 ქულა;
- II ტესტირება – მაქსიმალური შეფასება 20 ქულა;

ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამებზე მყოფი სტუდენტებისათვის სემესტრის განმავლობაში ჩატარდება სამი შუასემესტრული ტესტირება;

- I ტესტირება – მაქსიმალური შეფასება 20 ქულა;
- II ტესტირება – მაქსიმალური შეფასება 20 ქულა;
- III ტესტირება – მაქსიმალური შეფასება შეადგენს 30 ქულასა და სტუდენტის მიერ ყოველკვირიულ შეფასებებში დაგროვებულ ქულებს შორის სხვაობას;

დასკვნითი/დამატებითი გამოცდის მაქსიმალური შეფასება შეადგენს 30 ქულას;

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა პროფესიული განათლების, ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებების – ყოველკვირიული შეფასებების და შუალედური ტესტირებების – ჯამში დაგროვებული აქვს 21 და მეტი ქულა, ამასთან შესრულებული აქვს სილაბუსით განსაზღვრული სამუშაოების მინიმუმი (ლაბორატორიული/პრაქტიკული/საკურსო და ა.შ.; (სსიპ - განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის დირექტორის 2010 წლის 24 მაისის №51 ბრძანება);

2. დოქტორანტურის სტუდენტებისათვის შუალედური შეფასებები მოიცავს ორ შუალედურ ტესტირებას:

- I ტესტირება – მაქსიმალური შეფასება 30 ქულა;
- II ტესტირება – მაქსიმალური შეფასება 30 ქულა;

დასკვნითი/დამატებითი გამოცდის მაქსიმალური შეფასება შეადგენს 40 ქულას;

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა დოქტორანტს, რომელსაც შუალედური შეფასებების / ტესტირებების ჯამში დაგროვებული აქვს 11 და მეტი ქულა, ამასთან შესრულებული აქვს სილაბუსით განსაზღვრული სამუშაოების მინიმუმი;

3. საბოლოო დადებითი შეფასების გაფორმების მიზნით სტუდენტი არაა ვალდებული გავიდეს დასკვნით გამოცდაზე, თუ მას შუალედური შეფასებების ჯამში უგროვდება 51 და მეტი ქულა, ამასთან შესრულებული აქვს სილაბუსით განსაზღვრული სამუშაოების მინიმუმი;

4. შუალედური შეფასებებისა და დასკვნით გამოცდაზე მიღებული შეფასების ჯამში 41-50 ქულის დაგროვებისას (FX შეფასება – ვერ ჩააბარა), სტუდენტს ეძლევა იმავე სასესიო პერიოდში დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

5. დეკანის ბრძანებით, დასკვნითი გამოცდის აღდგენის (დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის) უფლება იმავე სასესიო პერიოდში ეძლევა სტუდენტს, რომელსაც აღნიშნული გამოცდის ჩატარების დღეს ჰქონდა დოკუმენტურად დასაბუთებული საპატიო გაცდენა; დასკვნით და დამატებით გამოცდებზე დოკუმენტურად დასაბუთებული საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას, სტუდენტს, სწავლების დეპარტამენტის წარდგინებით, რექტორის თანხმობის შემთხვევაში, მიეცემა გამოცდებზე გასვლის უფლება მომდევნო სემესტრის დაწყებამდე;

6. ინდივიდუალურ პროგრამებზე მყოფი სტუდენტებისათვის სამივე ტესტირება და დასკვნითი/დამატებითი გამოცდები ჩატარდება წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში; აღნიშნული კატეგორიის სტუდენტებისათვის თითოეულ სასწავლო კურსში I, II

და III შუასემესტრულ ტესტირებებს და დასკვნითი გამოცდას შორის უნდა იყოს ინტერვალი;

7. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა;
8. შუალედური შეფასებებისა და დასკვნით გამოცდაზე მიღებული შეფასების ჯამში 41-ზე ნაკლები ქულის დაგროვებისას (F შეფასება – ჩაიჭრა), აგრეთვე შუალედური შეფასებებისა და მე-4 ან მე-5 პუნქტებით გათვალისწინებულ დამატებით გამოცდაზე გასვლის შედეგად 51-ზე ნაკლები ქულის დაგროვებისას (შეფასებები FX ან F), სტუდენტს საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი;
9. სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) პუნქტი “შეფასების სისტემა” შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი წინამდებარე დანართთან.

* – ყოველკვირეულ შეფასებაში ერთიანდება სასწავლო კურსის პროგრამით გათვალისწინებული ყველა სახის მეცადინეობის (ლექცია, პრაქტიკული, სემინარი, ლაბორატორიული, ს/ს, ს/პ და ა.შ.) შედეგები. თითოეულ სასწავლო კურსში მაქსიმალური ჯამური შეფასებაა 2 ქულა; აქედან ყველა სახის მეცადინეობებზე დასწრებათა მაქსიმალური ჯამური შეფასება – 1 ქულა, აქტიურობისა და საშინაო დავალების შესრულების მაქსიმალური ჯამური შეფასება – 1 ქულა.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
 ფაკულტეტის
 № აკადემიური ჯგუფის სტუდენტთა შიგნით
 ელექტრონული უწყისი №

სწავლების წელი სემესტრი აკადემიური წელი

სწავლების საფეხური: პროფესიული მაკალაგრატი მაგისტრატურა
 განათლება უმაღლესი განათლება

სასწავლო კურსის დასახელება: _____

წამყვანი პროფესორი _____

ECTS კრედიტი

სწავლების ფორმა და კვირული დატვირთვა, სთ: ლექცია პრაქტიკული ლაბორატორიული

პრაქტიკა: სემინარი: საკურსო პროექტი/ სამუშაო

№	გვარი, სახელი	კვირის №																	საბოლოო შეფასება, მაქსიმ/გამ-სვლელი ქულა	შენიშვნა					
		შუალედური შეფასებები, ქულა																							
		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17							
		ყოველკვირეული		I ტესტირება		ყოველკვირეული		II ტესტირება		ინტეგრირებული		ინტეგრირებული		ინტეგრირებული		ინტეგრირებული		18, 19	20, 21	გამოცდა, ქულა	ინტეგრირებული				
1		2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	30	30	70	100/51		
2																									
3																									
5																									

სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორი	ინიგ. და გვარი	ბელომოწერა	თარიღი	ფაკულტეტის დეკანი
დეპარტამენტის უფროსი	ინიგ. და გვარი	ბელომოწერა	რეგ. №	ინიგ. და გვარი
				ბელომოწერა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
 № აკადემიური წელი ფაკულტეტის
 პროგრამაზე მყოფი სტუდენტის უფლებების დამადასტურებელი უწყისი
 №

სწავლების წელი სემესტრი აკადემიური წელი

სწავლების საფეხური: პროფესიული განათლება პროფესიული უმაღლესი განათლება მაგისტრატურა

სასწავლო კურსის დასახელება:

წამყვანი პროფესორი

ECTS კრედიტი

სწავლების ფორმა და კვირული დატვირთვა, სთ:

ლექცია პრაქტიკული ლაბორატორიული

პრაქტიკა: სემინარი: საკურსო პროექტი/სამუშაო

№	გვარი, სახელი	კვირის №																	საბოლოო შეფასება, მაქსიმ/გამ-სვლელი ქულა	შენიშვნა				
		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17						
1		შუალედური შეფასებები, ქულა																	70	30(30)		100/51		
		ყოველკვირეული	ყოველკვირეული															II ტესტირება					III ტესტირება	18, 19 გამოცდა, ქულა
		2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	20	20	30	30		

სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორი ინივ. და გვარი ბელმოწერა თარიღი

დებარტამენტის უფროსი ინივ. და გვარი ბელმოწერა რეგ. № თარიღი

ფაკულტეტის დეკანი ინივ. და გვარი ბელმოწერა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
 ფაკულტეტის
 № აკადემიური ჯგუფის დოქტორანტიების შიგნით
 ელექტრონული უწყისი №

სწავლების წელი სემესტრი აკადემიური წელი

სწავლების საფეხური: დოქტორანტურა
 სასწავლო კურსის / კომპონენტის დასახელება:

წამყვანი პროფესორი

სწავლების ფორმა და კვირული დატვირთვა, სთ: ლექცია პრაქტიკული ლაბორატორიული
 პრაქტიკა: სემინარი: საკურსო პროექტი/სამუშაო

№	გვარი, სახელი	კვირის №																	საბოლოო შეფასება, მაქსიმ./გამ-სვლილი ქულა	შენიშვნა			
		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17					
		შუალედური შეფასებები, ქულა																					
		ყოველკვირეული	ბეჭდვა I	ყოველკვირეული	ბეჭდვა II													დასრულებულია	60	100/51			
1			30																40				
2																							
3																							
4																							
შენიშვნა																							

სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორი	ინვ. და გვარი	ბელომოწერა	თარიღი
დეპარტამენტის უფროსი	ინვ. და გვარი	ბელომოწერა	რეგ. №
ფაკულტეტის დეკანი		ინვ. და გვარი	ბელომოწერა